


ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 8 – 1915. მიიღება ხელმოწერა 1915 „თეატრი და ცხოვრება“-ზე 22 თებერვალი



საბურთალოს თეატრის წინა ფარდა
ნახატი ვეფხვაძისა



**თავ. ნ. რ. ერისთავი**
დაიბ. 1852 წ. 20 ნოემ.
გარდ. 1915 წ. 18 თებ.
დაკრძალულ იქმნა 21 თებ.
დიდუბეში



**კირიონ ეპისკოპოსი**
სასჯელიდან განთავისუფლე[ს]
და პოლოცკის ეპისკოპოსა[დ]
გაამწესეს.

ЦЕНТРАЛЬНАЯ КОНТОРА
„ГАНТIАДИ“
ТИФЛИСЪ
Михайловскiй пр. 18.
ПЕРIОДИЧЕСКИХ ИЗДАНИЙ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# № 8

## შინაარსი:


1) **მეთაური** — ა) ახალი ლამპარი, ბ) შეწყნარებული მღვდელმთავარი, 1

2) **ანნა ვართაგავა** — რვა თებერვალი; "

3) **გრ. მეგრელიშვილი** — დასრულებული, (ლექსი) 2

3) **შვეიცერი** — საზოგადო მოღვაწენი: თ. მ. ი. თაქთაქიშვილი, 3

5) **ის. ვარაზიშვილი** — ჩვენი თეატრი და მსახიობის ტრაგედია, 4

6) **დ. თურდოსპირელი** — აკიდო: მინიატიურები — ა) ვენერას, ბ) უყურეთ, უყურეთ... 5

7) **გ. დათიაშვილი** — ფარული გრძნობა, 6

8) **ილია ბახტაძე** — აკაკის ტკბილ-მწარე სიტყვები, 7

9) **ვ. მალაქიაშვილი** — საქართველოს, "

10) **ილ. ჩხერიმელისპირელი** — მეომრის ცხენი, 8

11) **მიმქრალი** — მგოსნის ცხედართან,

12) **ალ. შანშიაშვილი** — ქალი გრძნეული (გაგრძელება), 10

13) **ზ. ჩხიკვაძე** — კომპ. პ. ი. ჩაიკოვსკი (გაგრძელება); 12

14) **გ საყვარელიძე** — ბ. მიხ. კავსაძის კონცერტი; 13

15) **ძიკი გეგეჭკორი** — გადარჯულებული, 14

16) **ქართული სახიობა** — (რეცენზიები), "

17) **წვრილი ამბები:** 15

18) **ი—ელი** — სამძიმრის წერილი: თ ნ. რ. ერისთავი, 16

19) **სურათები** კირიონ ეპისკოპოსი, თ. ნ. რ. ერისთავი, თ-მ. ი. თაქთაქიშვილი, მოდღესასწაულე აკაკი, საზურთალოს თეატრი, საზურთალოს თეატრის გამგეობა, ომში დაჭრილნი, დაკარგული მღვდელი.


## რედაქციისგან

**პატივცემულ თანამშრომელთა საყურად:**

1) კერძო მიწერ-მოწერისათვის რედაქციას დრო არა აქვს.

2) ყოველგვარი დასაბეჭდი მასალა ქაღალდის ცალპირზე უნდა დაიწეროს გარკვეულის ხელით.

პატივცემულ ბ ბ. **წლიურ ხელის მომწერელთა საყურადღებოდ:** ჟურნალი ყველას უკლებლივ ეგზავნება შაბათ საღამოთევე სრულიად ფურცლებ დაუჭრელი. დაკლებული ნომერი ადგილობრივ ფოსტაში მოიკითხონ და ჩვენც დროით გვაცნობონ.


22 დეკემბრიდან გამოდის საორშაბათო გაზეთი

# „შადრევანი"

**სრული პროგრამით,**

1 წლით 2 მან. 50 კ., 6 თვით 1 მან. 25 კაპ., 1 თვით 25 კ. საზღვარ გარეთ ორჯერ მეტი.

### მიიღება ხელის მოწერა 1915 წლ.

კანტორის და რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія „Сорапань" для **„Шадревани"**.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Типографія „Сорапань" **Александру Г. Мумладзе.**

კანტორაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილით 11—12.

სინდისიერ და გამოცდილ კორესპონდენტებს რედაქცია შეძლების და გვარად სასყიდელს მისცემს.

თეატრი და ცხოვრება

№ 8

წელიწადი მესამე

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“-ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 8 კვირა 22 თებერვალი 1915 წ.

## 22 თებერვალი

**ახალი ლამპარი**

გასულ კვირას, 15 თებერვალს, კიდევ ერთი ახალი კაბადონი მიემატა ქართული თეატრის ისტორიას...

თბილისის გარეთა უბანში, საბურთალოზე, სადაც 400 კომლზე მეტი მშრომელი ქართველობა მოსახლეობს, რომელიც დღემდე მოკლებული იყო რაიმე საგანმანათლებლო დაწესებულებას, აკურთხეს სახალხო თეატრი და იმავე საღამოთი წარმოდგენაც გაიმართა მრავალი ხალხის თანადასწრებით...

დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას მძიმე სალტეები აქვს შემორტყმული, ოჯახი გადაგვარებული გვაქვს, სკოლა—მშობლიურ ნიადაგს მოკლებული, მწიგნობრობა — ჯერ კიდევ ნაკლებ გავრცელებული, თეატრს ჩვენის ხალხის წინსვლაში დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს...

თუ ვისმეს ჰსურს ჩვენი ერის—ხალხის სულიერ-გონებრივად ამაღლება, იგი რიგიანად მოწყობილ თეატრით შესძლებს, თუ ვისმეს ჰსურს ჩვენი სამშობლო ენის გავრცელება, იგი საუცხოვო სცენით მიაღწევს მიზანს, თუ ვისმეს ჰსურს ქართველი ხალხის საზოგადოებრივი აღზდა, ეროვნულ მის წრაფებით და საერთაშორისო იდეალებით გამობრძმედება, ისევ და ისევ იდეური თეატრით შესძლებს. ისეთი თეატრით, რომელიც თვით ხალხისაგან არის შექმნილი თვის სულიერ წყურვილის მოსაკლავად...

ამ მხრით საბურთალოს თეატრი სანუგეშო იმედებს გვინერგავს: იგი დაფუძნებულია მშრომელთაგან, გამგეობის წევრნი უმეტესად გათვითცნობიერებული მუშები არიან, საკულტურო საქმეს—თავის თავისა და თავისიანთა წინსვლას მოწყურებული... და ეს გარემოება იმის თავდებია, რომ საბურთალოს საგანმანათლებლო ლამპარი აღორძინების გზით ივლის, თეატრს სამკითხველოს დაფუძნებაც მოჰყვება და გონებრივი მუშაობა დაიწყება... რაკი ერთი თესლი ჩავარდა ნოყიერ ნიადაგში, იქნება გვიან, მაგრამ მაინც აღმოცენდება და ინაყოფიერებს...

ამიტომ მოუწოდებთ ყველას, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ხალხის წინსვლისათვის, ხელი შეუწყოს საბურთალოს თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებას...

ვუსურვებთ საბურთალოს თეატრის მუშაკთ მხნეობასა და თვის ნამოღვაწევის კეთილ ნაყოფის გამოღებას.

**შეწყნარებული მღვდელმთავარი**



კ ი რ ი ო ნ ი

თითქმის ათი წელიწადია, რაც საეკლესიო-საზოგადოებრივ ასპარეზიდან განიდევნა კირიონ მღვდელმთავარი, ქართველ საზოგადოებასა და მწერლობაში კირიონ ეპისკოპოსის სახელით ცნობილი, — მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლო ეკლესიის დამოუკიდებლობას გამოესარჩლა...

მას შემდეგ პატივცემული მღვდელმთავარი ერთი მონასტრიდან მეორეში გადაჰყავდათ, უპატრიოდ, ვითარცა დასჯილი... და სულგრძელი მღვდელმთავარი გულხელდაკრეფილი არა უოფილა: დევნისა და თავისუფლების მოსპობის ჟამსაც სამშობლო ქვეყნისა და ეკლესიის სა-

სარგებლოდ მუშაობდა, სწერდა სხვა და სხვა სამეცნიერო შრომებს და ელოდა ივერიის ეკლესიის თავისუფლებას...

ბოლოს მაინც სიმართლემ გაიმარჯვა და უმაღლესი ბრძანებით ივერიის ეკლესიის ნაამგდარი მღვდელმთავარი შეწყნარებულ იქმნა: იგი გაამწესეს პოლოცკის დამოუკიდებელ ეპარქიის ეპისკოპოსად...

ამ მოვლენამ ბევრს იმედი აღუძრა: ალბად ივერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმეც მომწიფებულაო... მაგრამ ნუ აჩქარდებით: როგორც ეკლესიის, ისევე სხვა თავისუფლებათა მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ამას ხალხი — ერი მოითხოვს.

# რვა თებერვალი

რვა თებერვალი — ჩვენი დაუვიწყარი მგოსნის აკაკის დასაფლავების დღე!..

ღმერთო, რა დიდებული, ისტორიული დღე იყო ეს დღე ჩვენ ბედკრულ სამშობლოსთვის!.. ამ დღეს თითქო საქართველოს ცას მოსცილდა გულის შემზარავი და სასოწარკვეთილებაში ჩამგდები შავი სქელი ღრუბლები და მზემ სიყვარულით და თანაგრძნობით გადმოხედა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს შვილებს და იმედებმა, აქამდის უცნობმა იმედებმა — „ღვთის ნიჭმა“ დაისადგურა ყოველი ქართველის გულში

ჭეშმარიტად რომ ეს დღე იყო დღე ჭმუნვის და აღტაცების, უიმედობის და იმედიანობის, უკმაყოფილების და კმაყოფილების. პირველი გამოწვევული საქართველოს წმინდა სანთლის გაქრობით და მეორე კი იმ პროცესით, რომელიც გამოიწვია ამ წმიდა სანთლის გაქრობამ. — აკაკის უკვდავი სიტყვები: **„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“** — რვა თებერვლამდი იყო წამები, როდესაც ჩვენ ეს სიტყვები ოცნებად მიგვაჩნდა, რადგაც არა შესაძლებლად. ამ დღემ კი ის საწყაული მოახდინა, რომ ჩვენ არამც თუ ოცნებად არ მიგვაჩნია ეს სიტყვები, არამც თუ მომავალში არ მოველით გაღვიძებას, არამედ დავრწმუნდით და მთელი ჩვენი არსებით ვიგრძენით, რომ ჩვენ უკვე გაღვიძებული ვართ, ფეხზე დამდგარი და წელში გასწორებული. ამ დღეს ყოველ ჩვენთაგანს, დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცს ჩვენი დიდებული სამშობლოს ღირსეულ შვილად გვაგრძნობინა თავი და ეს კი ენით გამოუთქმელი ბედნიერებაა, წმიდა ციური სიხარულის განცდაა ყოველი ადამიანისათვის.

რვა თებერვალი საქართველოს ნამდვილი ეროვნული დღესასწაული იყო ჩვენის სიამაყის, ჩვენის მამათმთავრის უკვდავებით გამოწვეული.

**ანნა ვართაგავა**

# დაუსრულებელი

არ მახსოვს, მე გზას როდის დავადექ,
არ მახსოვს და კვლავ წინ მივისწრაფი,
ვით ცის სივრცეში ქუხილის ჟამსა
მეხი ზევსესი მალი და სწრაფი.

არ ვიცი, როდის ჩაჰქრება ჩემში
სურვილი გიჟის ლტოლვით აღძრული,
არ ვიცი, მიზანს როდის მივაღწევ,
ჯერ კი არ უჩანს გზას დასასრული.

ამბობენ: გზა ეს, სავალად ძნელი,
გადამიძახებს მე უფსკრულსა, ხევს;
ამბობენ, თითქოს აქ შავი გველი
შხამსა და გესლსა გულუხვად ანთხევს.
კიდევ ამბობენ, რომ... მაგრამ დაე
აწ სული უკან აღარ დაიხევს.

არა, არ ძალმიძს განვლილ გზის განვლა,
როგორც არ ძალმიძს ერთს ადგილს დგომა;
მწამს, ცინც ძიების მსხვერპლი გახდება,
მას შეუძლიან მკვდრეთით აღდგომა

და მე არ ვიცი, გზას როს გაუდექ,
არ ვიცი და კვლავ წინ მივისწრაფი:
ვეძებ არ-ხილულს, ვეტრფი არ-ნახულს,
ვით მთის მწვერვალებს არწივი სწრაფი...

გრ. მეგრელიშვილი

# საზოგადო მოღვაწენი

## თავ. მ. ი. თაქთაქიშვილი



თავ. მიხეილ ივანეს ძე თაქთაქიშვილი

ცნობილია, რომ ქართველებს ნაკლებათა გვყავს თავდადებული და გულწრფელი საზოგადო მოღვაწენი, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროის არის, რომ თუ ვინმე ასეთი მოგვეპოვება, ფართო საზოგადოება მას ნაკლებად იცნობს და ნაკლებად აფასებს. რადა თქმა უნდა, ასეთი მოღვაწენი თვითონ არ უკრავენ ბუკსა და ნაღარას თავიანთ საქმეებზე და ამითი განსხვავდებიან კიდეც იმ მყვირალა ბატონებისაგან, რომელთაც თავიანთი თავი „ქვეყნის მარილად“ მოაქვთ.

ნამდვილი მადლი საზოგადო საქმის გულწრფელი სამსახურისა ითესება ჩუმად, „ურეკლამოდ“. ასეთი მოღვაწენი აკეთებენ კიდეც საქმეს და მოაქვთ მართალი და უტყუარი ნაყოფი

საბედნიეროდ ჩვენცა გვყავს ასეთი პიროვნებანი. სხვათა შორის დიდათ საპატიო თავადი მიხეილ ივანესძე თაქთაქიშვილი ეკუთვნის იმ გონება-ნათელ პიროვნებათ, რომელთაც თავის თავზე უდვიათ ასეთი ჩუმი, მაგრამ მართლაც ნამდვილი საქმიანობა სამშობლო კულტურის ასაღორძინებლად და გასაძლიერებლად.

ჩვენ ბევრს ვიცნობთ ისეთებს, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ სამსახურში (თავ. მიხეილ ბაქოს კომერციული სასწავლებლის დირექტორია) და... პირადის კეთილდღეობით დაკმაყოფილებულან. უკეთეს ნაწილს ჩვენი საზოგადოებისას კიდეც ეგა აქვს სავალდო, მაგრამ თავ. მიხეილი ასეთებს არ ეკუთვნის. მას არ დავიწყებია თვისი ადამიანური მოვალეობა საზოგადო საქმეების წინაშე და თუმცა ძლიერ მოუცლელია, მაინც თავის თავისუფალ დროს სრულიად ადგილობრივ (ბაქოს) ქართულ საზოგადო საქმეებს ანდომებს.

მუდამ საუკეთესო სურვილებით და მისწრაფებით აღჭურვილი ჭაბუკურის გატაცებით ეპყრობა ყოველ კულტურულ საქმიანობას...

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი წ. კ. ს. განყოფილება მისი ინიციატივით არის დაარსებული და დღეს-დღეობით ისეა საქმე წაყვანილი, რომ ქალაქის საუკეთესო ადგილას, თითქმის ცენტრში ქართულ სკოლას მიჩენილი აქვს კარგა მოზრდილი მოედანი, რომელზედაც ქართველთა შორის მოგროვებულ და ცნობილ ქველმოქმედ იაკ. მანსვეტაშვილის უხვი შეწირულების მეოხებით აშენებულია მკვიდრი და რიგიანი სასკოლო ორ-სართულიანი შენობა. იქვეა მიჩენილი ადგილი მომავალ ქართულ თეატრის შენობისათვის და სხვ.

წრეულსაც თავ. მიხეილი სათავეში ჩაუდგა ადგილობრივ დრამატ. წრეს და ჩვეულებრივის ხალისით და მხნეობით ეწევა ჭაპანს გამგეობის თავმჯდომარისას. სხვათა შორის, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წრემ თავ. მიხეილის ინიციატივით ბევრი წარმოდგენა გადიტანა ბალახანაში, რისთვისაც დიდი მადლობა დაიმსახურა ბალახანელ მუშებისა და მთელი იქაური საზოგადოებისა...

ძნელია ასეთ პაწია შენიშვნაში სრული აღნუსხვა თავ. მიხეილის ყველა ღირსებისა და ღვაწლისა, მაგრამ აქ ჩამოთვლილთაგანაც ნათლად დაინახავს ადამიანი, თუ რა ნათელ პიროვნებასთან გვაქვს საქმე და მით უფრო გასახარელია, რომ თავ. მიხეილი ეკუთვნის ერთ გვარ კლასს მოხელეთა, რომელთა გადაგვარებას ჩვენ, ქართველები დიდი ხანია შეჩვეული ვართ, ხოლო თავ მიხეილის პიროვნებაში

„დიდი ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ მოძმესთან ერთად იყოს
ჭმუნვასა და სიხარულში.“

**შვეიცერი**

# ჩვენი თეატრი და მსახიობის ტრაგედია

ამას წინად ჩვენი თეატრის ერთ თვალსაჩინო მუშაკთან ბაასი მქონდა იმის შესახებ, თუ რა ყოფაშია დღეს ჩვენი სცენა და რანაირია სულიერი განწყობილება მსახიობთა შორის.

როგორც ჩემი მობაასის სიტყვით გავიგე, სამწუხაროდ მსახიობთ გული გასტეხიათ. სა-

ქმეს უიმედოთ უყურებენ და ბევრი მათგანი თურმე დაჟინებით გაიძახის, რომ სცენას თავი უნდა დავანებო, არა ღირს იქ მუშაობაო.

ამის მიზეზად მსახიობნი ბევრს რამეს ასახელებენ. ყველა იმ მიზეზთაგანი პატივსადებია და ფრიად საყურადღებო.

მაგრამ ამხანად მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო მხოლოდ ერთ გარემოებას, სახელდობრ ჩვენი მსახიობის, როგორც თავისუფალი ხელოვანისა და მხატვრის მდგომარეობას ჩვენს სცენაზე

ყოველი ხელოვანის შემოქმედებას, ჩემის აზრით, ორი მომენტი ახასიათებს.

პირველი თვით შემოქმედების პროცესი, როცა ხელოვანი ჰქმნის. ამ დროს იგი სრულიად თავისუფალია, მარტოა, საქმე აქვს მხოლოდ თავის თავთან, თავის სულიერ განცდასთან. ამ დროს მისი ფანტაზია უმაღლეს წერტილს აღწევს. და მთელი სულიერი ძალღონე ხელოვანისა იმის შექმნას ხმარდება, რაც მის გრძნობა-გონებას სანუკვარად დაუსახავს და მშვენიერების სახით მოვლინებია. ასეთ წუთებში ხელოვანი უეჭველად იტანჯება მშობიარეს ტანჯვით და თან, როცა მისი ფანტაზია ხორცს ისხავს და სხიერდება, უკვე სჩანს შემოქმედების ჩამოყალიბებული ნაყოფი, იგი იშვებს და იხარებს, უმაღლეს ესთეტიურ ტკბობასა და კმაყოფილებას განიცდის. მაგრამ ეს სიხარული მეტად ხანმოკლეა. დასრულდა შემოქმედების პროცესი, სრულდება ხელოვანის ტკბობა-სიამეც. იგი ამ ჟამს ჩვეულებრივ მომაკვდავად იქცევა. ამის შემდეგ მის შემონაქმედს თითქო აღარ უნდა ჰქონდეს თვით ხელოვანისათვის რაიმე მნიშვნელობა, რადგან ხელახლა იმის განცდა, რაც შემოქმედების დროს განიცადა, შეუძლებელია. შეუძლებელია ამ პროცესის განმეორება.

მაგრამ შემონაქმედი ახლა სხვა მხრივ აინტერესებს ხელოვანს

ადამიანს საზოგადოთ არ შეუძლია განკერძოებით ყოფა, არ შეუძლია თავისი ზრახვანი არ გაუზიაროს ვისმეს და არ გადასცეს თავისი გულის ნადები. ადამიანს ესაჭიროება მოყვასის თანაგრძნობა, მისი ყურადღება. და ხელოვანიც თავისი შემონაქმედით ცდილობს გამოიწვიოს თანაგრძნობა მოყვასთა შორის, მიწვდეს მათ გულს და აგრძნობინოს ის, რასაც თვით განიცდიდა შემოქმედების დროს.

ეს არის მეორე მომენტი ხელოვანის შემოქმედებაში.

ეს ორი მომენტი მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ხელოვანის ბედნიერება მაშინ არის სრული, როცა მისი შემოქმედების ტანჯვით ნაშობი შემონაქმედი სწვდება მსმენელ-მჭვრეტელის გულსა და გრძნობას. როცა იგი ხედავს, რომ ხალხმა შეითვისა მისი შემონაქმედი და განიცადა უმაღლესი ტკბობა სულისა, იმასავით დაღვარა მდუღარე ცრემლი და გული აუტოკდა სიხარულითა.

პირველი მომენტი შემოქმედებისა იშვიათად არის თავისუფალი მეორე მომენტის-გაზიარების გავლენისაგან. მხოლოდ ზეგარდმო მადლით ცხებულნი ჰგენიოსნი არ უქვემდებარებენ თავის ქმნილებას ხალხის, ბრბოს გემოვნებას. ამისდა მიუხედავათ, მათ მაინც არას დროს არ ავიწყდებათ, თუ რა ხასიათისანი არიან მათი მსმენელ-მჭვრეტელნი და ცდილობენ თავის ნაწარმოებს ყველასათვის გასაგები სახე, ფორმა მისცენ.

და თუ ჰგენიოსთა შემოქმედებაც არ არის სრულიად თავისუფალი მეორე მომენტის გავლენისაგან, რაღა უნდა ვსთქვათ საშუალო ნიჭის პატრონ ხელოვანებზე.

სწორედ ამ მეორე მომენტის გავლენით აიხსნება ხელოვნებაში ახალ ფორმათა ძიების სურვილი, რომელიც თან ახლავს ყოველ ახალ ეპოქას.—მაშასადამე, თუ ხელოვანი არასოდეს არ არის თავისუფალი თავისი ნაწარმოების გაზიარების სურვილისაგან, თუ ეს სურვილი ისეთივე ბუნებრივი და ძლიერია მასში, როგორც თვით ლტოლვილება შემოქმედებისადმი, მაშინ შეუძლებელია იმისი თქმაც, რომ ხელოვნებაში მარტო შემოქმედების მომენტსა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა ხელოვანისათვის, რომ იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს ხალხის აზრსა და გრძნობას და ჰქმნის თავისუფლად.

ამიტომაც შეუძლებლად მიმაჩნია იმ დებულების მიღება, რომელსაც ამ ბოლო ხანებში დაჟინებით იმეორებენ, თითქო ხელოვნების მიზანი მხოლოდ ხელოვნება იყოს.

ხელოვნების მიზანია, ჩემის აზრით, გამონახო ისეთი ფორმები, სახეები, ერთი სიტყვით ისეთი საშუალებანი, რომელთა მეოხებით შესძლებ გადასცე, გულის სიღრმემდის აგრძნობინო სხვას შენი ნაგრძნობ—ნაფიქრი, შენი ტანჯვა და სიხარული. თუ ეს დებულება მისადებია ხელოვნების ისეთ დარგებისათვის, როგორიც არის პოეზია, მხატვრობა და მუსიკა, მით უფრო ზედ გამოჭრილია სასცენო ხელოვნებისთვის. თუ ხელოვნების სხვა დარგებში შემოქმედებისა და გაზიარების მომენტები ერთი მეორეს დაშორებულნი არიან და ხელოვანს მართლაც შეუძლია სთხზას მხოლოდ თავისთვის, თავის დასატკბობად, სასცენო ხელოვნებაში ეს წარმოუდგენელია, აქ ეს ორი მომენტი ერთად იყრის თავს, შემოქმედება და გაზიარება ერთსა და იმავ დროსა ხდება. მსახიობი მოქმედობს, ჰქმნის მაშინ, როცა იგი სცენაზეა, ფარდა აწეულია და მრავალი მაყურებელი გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ყოველ მის მოძრაობას. ამ დროს მსახიობი მართლაც მიმართავს განსაზღვრულ საშუალებათ—მიმიკას, დიქციას, პლასტიკას,—რომ მაყურებელს სავსებით გადასცეს, რასაც ის გრძნობს და განიცდის.

სწორედ იმიტომ, რომ მსახიობ-ხელოვნის შემოქმედება სახიერდება რამპის წინ, ხალხის თანადასწრებით, არ შეიძლება ამ ხელოვნებას სახეში ჰყავდეს მარტო მსახიობი და მისი ესთეტიური ტკბობა, და სწორედ ამიტომაც ყველაზე მეტი გავლენა ბრბოს გემოვნებისა თეატრს ემჩნევა.

ამას მე ვფიქრობ, დიდი მტკიცება არ დასჭირდება, როცა გავიხსენებთ, თუ რას უფრო ეტანება თეატრთა დიდი უმრავლესობა, როგორ ნაწარმოებს აქცევს მეტ ყურადღებას. თანამედროვე თეატრების ანტრეპრენიორებს ნაკლებად აინტერესებთ მსახიობის სულიერი განცდა და მისი ესთეტიური გემოვნების მოთხოვნილება. შემოსავალს ეძლევა უმთავრესი მნიშვნელობა. ის პიესა, რომელიც რაღაც გარემოებით მოეწონა ბრბოს და ამიტომ მეტ შემოსავალს იძლევა, ხდება „Гвоздем репертуара" როგორც რუსები იტყვიან, იმისდა მიუხედავად, აკმაყოფილებს ეს ნაწარმოები სამართლიანი კრიტიკის მოთხოვნილებას, თუ ვერა.

მაშასადამე მსახიობი ბევრჯერ იძულებულია ხელოვნობდეს იმისთვის, რაც არ მოსწონს, რაც მის სულისა და ესთეტიური გემოვნების მოთხოვნილებას სრულიადაც არ აკმაყოფილებს.

აი, ამაშია თანამედროვე მსახიობის ტრაგედია. ამ გარემოებამ ბევრი ნიჭიერი, ღვთიური ცეცხლით დაჯილდოვებული და თავდაპირველად აღფრთოვანებული მსახიობი ბოლოს უბრალო ხელოსნად აქცია, ეგრედ წოდებულ აქტიორად.

ამის გამო რა მდგომარეობაშია ჩვენი მსახიობი—ამაზე შემდეგ.

**ის. ვარაზაშვილი**

# აკიდო

1

## ვენერას

უკვდავი ტრფობის ღმერთო, ვენერავ! მუხლ-მოდრეკილი გევაჯები: მექმენი შემწედ, მიშუამდგომლე ჩემს სატრფოსთან. დაარწმუნე, რომ იგი მიყვარს უკვდავი ტრფობით. ჩააგონე, რომ მალე ფრთოსნები შესწყვეტენ ჭიკ-ჭიკ-გალობას და ზღვის ზვირთები ლაღგიჟმაჟ სრბოლას, ვიდრე ჩემმა ბაგემ მოიშალოს მის ქებათ-ქება.

სახიერო! ლოცვით-ღაღადით გემუდარები: დაუმცხრალი ვნებით აღაგზენ მისი გაციებული გული, უქრობელი ეშხით ააკვესე მისი მიბინდული თვალები, რომ მოვიდეს ჩემთან და ცისკროვანი სიცილით გადმომხედოს, გამიბრწყინვალოს განუსვენებელი ტირილისაგან მიჯნისლული სახე...

ვენერავ, ვენერავ, შენ ყოვლად ძლიერი ჰყოფილხარ. შენ ხელოვანი პიგმელიონის თხოვნაც კი შეგისრულებია და სიცოცხლე ჩაგიდგავს იმ ქანდაკებისთვის, რომელიც მას სპილოს ძვლისაგან გამოუკვეთია და შეუყვარებია,—მაშ ნურც მე წარმიკვეთ ას ოებას, ნუ გამიბედითებ ღაღადისს.

აი-უკვე მოდის ყველასათვის სანუკვი გაზაფხული... მოცქრიალებს ალმასის სხივე-

ბით მოოქვილი გარიჟრაჟი და თან მოაქვს სიხარული უჩრდილო, უსაზღვრო, დაუტევარი.

ვენერავ, ვენერავ! მეც გამითენე .. გამიზაფხულე...

ჰქმენ სასწაული ..

უშრეტი ეშხით აანთე, უცვალებელი ტრფობით ალაგზენი ჩემი ღვთაება..

2

**უყურეთ... უყურეთ!..**

აი, აი, მოჰკრიფა ჩემი ოცნების ყვავილნი და გატკეპნა ფეხებით .. ულმობლად, უჯიგროდ გატკეპნა ის ყვავილნი, რომელნიც ყოველს წამს მისს ლხენას შესთხოვდნენ შემოქმედს.

რად მექცევა, რად ასე მკაცრად, რადა მტანჯავს ასე უგასაგისოდ?..

მერმე ასეთი ქველი, ასეთი კეთილი მაინც არ იყოს.

შემოდგომის ცივ-ღამით, როდესაც ვერაგი ქარი საშინელი ხივილით იწყებს ქროლას სადმე უპატრონოდ დარჩენილი ძე ხორციელის გასაყინავად—მისს სახლს რომ მოადგეს რომელიმე მგზავრი და შესთხოვოს სახლში შეშვება—იგი უმალ, აზრ-შეუკრთომლად გაუღებს კარს და შეიხიზნებს, თუმცა არაა დარწმუნებული, რომ იგი მართლა ღვთისნიერი მგზავრია და არა ვინმე თავზე ხელ-აღებული, გარეწარი ავაზაკი.

მე კა ამდენი ხანია ვევედრები: დავზრი, გავიყინე უსიყვარულობით. მომხედე... მომიტკბი... ვაგლახ! ამაოა ღაღადი. ვერ მოულბე გოროზი გული...

ახ, რად არის, რად ჩემთან ასეთი მკაცრი, თუ კი სხვასთან ისე სათნოა?..

უყურეთ, უყურეთ, როგორ აჭყუპალავებს ხელებს ჩემი ცრემლებით აპირთავებულ თასში...

უყურეთ!..

**დ. თურდოსპირელი**

# ფარული გრძნობა

**ანდრო**—მოდი, მოგოგმანდი, ყელბულულა ჩემო გვრიტო!.. გაბედე.. აი, ამ ბრწყინვალე ოთახში, ბაგეჩაწდობილებმა ნეტარების ფიალს დავეწაფოთ, ვსვათ, ვიდრე პირამდე აღივსებოდეს, ვიდრე უმიზნოდ დაიღვრებოდეს... რად თრთი? რად ღრტვინავ, ჩემო ღვთაება!? იქნებ ჩემს ფრთებს ქვეშე ვერ ჰპოულობ უშიშარ თავშესაფარს? იქნებ სასოება მოწამლული. გამირბიხარ: გემი მიჰქრის და ბედნიერების კუნძულს უახლოვდება...

ნუ, გევედრები, ნუ მიეცემი სასოწარკვეთილებას. ნუ შეჰბურავ შენს ნათელ სახეს, ნუ გაჰყურებ სასწრაფო გზას ეგზომ მკრთალი. მომავალი ზე-ქვეყნიურ ბედნიერებას გიქადის. ის ოქროს ბედს, მარგალიტებით მოკირწყლულს, გამალებით ქსოვს და ქსოვს......

მაშ, დამერწმუნე... მოდი, მოდი, ჩემო უებრო მალამო, ჩემო სუსტო ფარვანავ!.. ნუ დგეხარ, ნუ ყოყმანობ, აფრქვიე ცრემლი უმანკოებისა, მიეცი წუთს უმწეოთ მთრთოლვარე ბაგენი... ნუ უქროლავ წმიდა სანთელს: ჩაქრება და წყვდიადი გამეფდება. მოდი, მომიახლოვდი, მუხლმოდრეკით გევედრები...

**მარო**—(მოჯადოებული) ანდრო!

**ანდრო**—მიგიღო? შეგიფარო?

**მარო**—ნურას იტყვი, გენდობი. მიმიღე შემიფარე.

(ელვასავით ერთმანეთს შეანათებენ და მთელი გრძნობის სიმხურვალით ჩაეკონებიან)

**ანდრო**—ოოხ .. მაკოცე... მაკოცე უფრო ძლიერ... დაუვიწყარო „მარგალი...ტა"

**მარო**—(ხელიდან გასხლეტილი იკივლებს) ოი! . (გარბის)

**ანდრო**—(მისდევს). საით. სად, მარო!

**მარო**—აღარ... აღარ...

**გ. დათიაშვილი**



**მოდღესასწაულე აკაკი 1908 წ. ქუთაისში**
მოზარდთა წარმომადგენელი ფატი გოკიელი ულოცავს აკაკის 50 წ. იუბილეს.

# აკაკის ტკბილ-მწარე სიტყვები

აკაკი პროვინციაში ერთ წარმოდგენას დაესწრო. მგოსანმა ბოლომდე ვერ შესძლო წარმოდგენის ცქერა, ადგა და მასპინძლისაკენ გაემგზავრა. გზაზე ნახა, რომ ჯორს მღვდელი გადმოეგდო და თავს დასდგომოდა. მოვიდა აკაკი მასპინძლისას (მასპინძელი მღვდელი იყო) და აღშფოთებით დაიწყო სიარული. მასპინძელი მორიდებით შეეკითხა:

— „რა მოხდა, ბატონო აკაკი?„

— „გამიგონია — ჯორს, როდესაც მოკვდება, მღვდელი უკითხავს შესანდობელს, მარა ეს არ ვიცოდი და არც მქონდა გაგონილი, თუ მიცვალებულ მღვდელზე შესანდობლის წაკითხვა ჯორის მოვალეობას შეადგენდაო.“

— „რაშია საქმე?!“ „წადი და ნახეთ,“ — მიუგო მგოსანმა“ — თქვენი სახლიდან ათი ფეხის ნაბიჯზე შარა გზაზე მღვდელი ასვენია, ჯორი თავს დასდგომია და შესანდობელს უკითხავსო. “— წავიდნენ და მართლაც ნახეს: მთვრალი მღვდელი გათხლაშულიყო ქუჩაზე და ჯორი თავს დასდგომოდა.

—

მგოსანი ხონში ბრძანდებოდა. წამოსვლისას ეტლში ერთი ალაგი დაიქირავა. მეეტლემ ჩასვა მგოსანი ეტლში და ბაზრის ირგვლივ — „**ვის გინდათ, ვის გინდათ**“ — ძახილით რამოდენიმეჯერ შემოატარა. აკაკიმ გააჩერა მეეტლე და შეეკითხა:

— „ვის გინდათ, ვის გინდათ,“ რომ იძახი, ხომ ხედავ არავინ მეიდუღობს, ისევ მე მითხარი, რამდენში ვარ შეფასებული, იქნებ შევსძლო თავის დახსნაო“ — არა, ბატონო, ვინ გყიდის,“ — მიუგო მეეტლემ, — „მე მუშტარს ვეძებ ქუთაისში წასაყვანადაო.“

**ილია ბახტაძე**

# საქართველოს

(ვუძღვნი აკაკის ხსოვნას)

შავი ყორანი, შენთან შობილი, კვლავ დაგტრიალებს, კვლავ შენთან არის,
ყვა... ყვას... დაგძახის ბედით განწირულს, ვით დაგხაროდა, ისე დაგხარის.
საუკუნეთა შავმა გრეხილმა მისი ძახილით გადაგიარა,
გაჩენის დღიდან მხოლოდ ნატანჯო, გულს ამოგკორტნა შავი იარა,
თეთრი ლეჩაქი შემოგაფხრიწა, პირქვე დაგიმხო ტახტი, გვირგვინი,
მაგრამ ვერ გაძღა შავი ყორანი, ვეღარ მოიკლა სისხლით მან ჟინი..
დღეს კვლავ ბედისწინ წაგაფორხილა, კვლავ გაგიმზადა ბასრი მახვილი,
შენს მამაც შვილებს სიკვდილის პირად კვლავ არ ასვენებს მისი ძახილი...
ბევრს ამოწიწკნა მამაცი გული უნდობი ტყვიით განაგმირავი..
ვეღარ გაძღე უმანკო სისხლით, ჩემო სამშობლოვ, ყორანი შავი ..
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
უცხო ქვეყნებში ჩაკარგულ შვილებს სამშობლო კერაც გაუტიალა:
მამა მოუკლა, მამა ერთგული, შავ ფრთისგან დროშა აუფრიალა...
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
გარე სიკვდილი, სახლში სიკვდილი!.. აქ ცრემლთა გუბე, იქ სისხლის ღვარი!..
ვაჰმე, მშობელო, როდის გეღირსოს წამი შვებისა, სიცოცხლე მტკბარი?

**ვ. მალაქიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



**საბურთალოს თეატრის გამგეობა, რომელმაც 15 თებერვალს აკურთხებინა თეატრი და სეზონი დაიწყო**

# მეომრის ცხენი

(დიმ. ცენზორისა)

ვის ყრუ ქიხვინი მოისმის მინდვრად?
— ის არს მეომრის ცხენი ერთგული.
სჩანს, მიატოვა ბრძოლისა ველი
და მიჰქრის სადღაც გამალებული.
შავი კისრიდამ სისხლი ჩამოსწვეთს;
გასასვლელი აქვს დიდი მანძილი..
იქ კი სანგრებთან პატრონი ჰკვდება,
ბრძოლისა ველზე მკერდში დაჭრილი.
მიჰფრინავს ცხენი გიჟურის ლტოლვით,
ამაყად მაღლა თავ-აშვერილი,
უკან მისჩხავის შავი ყორანი,
კვალ და კვალ მისდევს მგლისა ყმუილი.
ყორანო, ცხენსა ვერ დაეწევი;
უკვე იხილა ნაცნობი თხრილი;
სწორედ იქაა იმის სოფელი,
სადაც იგია შობილ-აღზრდილი.
ნაცნობ ჭიშკართან ჭიხვინი იწყო,
რა იქ მიიჭრა ცხენი დაღლილი,
გამოიხედა გონივრულ თვალით
და იქვე მოკვდა ღონე-მიხდილი.
აღასრულა მან თავისი ვალი:
აუწყა ოჯახს ომის ამბავი,
რომ მის პატრონი მედგრად იბრძოდა
და სამშობლოსა უმსხვერპლა თავი
მიეყრდნო ცხენის სველსა ფაფარსა.
მეომრის დედა მუხლ-მოკვეთილი..
მაგრამ მის ცოლი, ჯერ ახალგაზრდა,
დიდს ხანსა იჯდა ხმა ჩაწყვეტილი.
თმენას ჩვეული, ჯანღონით სავსე,
დიაღ გაუძლებს ის განსაცდელსა,
ერთგულსა ცხენსა უძღვნის მადლობას
სასურველ ამბის მაუწყებელსა...



**პორუჩიკი თავ. არჩილ სიმონისძე წერეთელი**

ავსტრიის საზღვართან ბრძოლის ველზე მოკლული.
საჩხერეში დაკრძალეს გუშინ 21 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საბურთალოს თეატრი და 15 თებერვალს კურთხევაზე დამსწრე ხალხი

— იძინე, ბრძოლის ველზე, მხედარო,
და ჩაეხუტე ცივ სამარესა;
მეც აქ ჩავიკლავ გულ-მერდში ტანჯვას,
არ ვის შევჩივლებ ბედსა მწარე'ა .. ;

მიხვდი, მხედარო, რომ მეცა ვსწირავ,
რაცკი რამ ძალმიძს, ჩემსა მამულსა:
ჩემის სიცოცხლის მთავარსა ძალას
და უკანასკნელს ჩემს სიყვარულსა ..

**ილ. ჩხერიმელისპირელი**



**გერმანიის საზღვარზე ომში დაჭრილნი**

1, კაპიტ. გიორ. ივ. კერესელიძე, 2, შტ-კაპ. ნიკან. იოს. გოგიტიძე და 3, კაპიტ. გიორ. მიხ. მაჭუტაძე.

# მგოსნის ცხედართან

(აკაკის ხსოვნას)

სხვა შესაწირი არ მეგულება
სულზე ლამაზი, სულზე ძვირფასი,
სხვა შესაწირი არ მეგულება
მთელ ქვეყანაზე სიცოცხლის მსგავსი, —

და, ჰა, პოეტო, ჩემსა სიცოცხლეს
იმ სამსხვერპლოზე დავადნობ ცრემლად,
სად შენი მადლით აღსავსე ჩანგი
მუდამ სდარაჯობს სიმართლის მცველად.

მომიახლოვდეს, დე, არ ვინაღვლი,
წუთი საშიში, წუთი მწუხარე,
ცრემლით აღვბეჭდავ ყოფნის ეტრატზე,
რასაც ვერ ამბობს ენა მდუმარე .

**მიმქრალი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალი მრძნეული

(გაგრძელება.—იხ. „თ. და ც.“ № 2-4, 7)

**ძნეო** წელან ვსთქვი, თუ: ვისაც ეძებ
სხვაა-მეთქი ეგებ ქალი?
ამით გცდდი!...
ვისაც ღელვით დაეძებდი,
იგი მე ვარ ძნეო ქალი!
მე ვარ შენი საოცნებო,
მე ვარ— —
**ჰანგო** შენ ხარ ჩემი დედოფალი!
**ძნეო** აჰა, ჰიქა კვლავ ამივსე,,
ჩემთან იყავ მომღერალი!
შენც დაისხი!
**ჰანგო** შენთან ერთად!
**ძნეო** ჩემთან ერთად ჰიქა სცალე! სცლიან
ახლა მომეც შენი ბაგე...
მკოცნე! კიდევ!
**ჰანგო** ეშხით დამთვრალი
გენაცვალე!
ქალის მკერდზე მიყრდნობილი და სიამით მთვრალი
მე სასტიკად მიხატავდი
წელან შენს თავს, ქალთა მზეო!
შენ ხარ იგი, ვისზეც უთქვამთ:
ქალი არის ზესთაზეო!
შენ ხარ, შენ ხარ ჩემი ტურფა,
ვის აწ გიმზერ სხივად ფრქვეულს;
შენში ვხედავ ტკბილ ოცნებას
სინამდვილედ გარდაქცეულს.
და მოვსულვარ ქვეყნად მისთვის,
რომ თვით სცხოვრობ ამა სოფლად!
კვლავ მისთვისვე მსურს აქ დავრჩე,
შენი ვიქმნე მარად მკობლად.
მუსიკის ხმა კვლავ ისმის რავდენსამე ხანს. ჰანგო
ქალი ხვევნიდან განთავისუფლდება. მოწყვეტილი
ძლივს სდგება ფეხზე.
თვალთ მიბნელდება!
რა მემართება?
ჩემს თავს რა ჰხდება?
ძალა მაკლდება! დონე მოწყვეტი-
ლი სარეცელზედვე დაეცემა.
ძნეო, ძნეო!
სული რისთვის მეხუთება? სურს
ქალი მოიშოროს
დედოფალო ნუღარ მკოცნი,
ვგრძნობ, სიცოცხლის ძაფი სწყდება.
დედოფალო!

**ძნეო** რაო, ჩემო?
**ჰანგო** მითხარ, ეს რა მემართება?
ჩემთან იგივ ტურფა ხარ, თუ
სხვა არსი და სხვა ჩვენება?
თუ მხურვალედ მქმნიდი უწინ,
სისხლი აწ რად მეყინება?
ვგრძნობ სიცივე შემომექდო,
გულზე რაღაც იხლაკნება. შეჰკივლებს
გველი! გველი! ნესტარს მასვამს!
**ძნეო** მშვიდად, გამარჯვებულის კილოთი
ჩუმად, ბავშვო! გელანდება!
**ჰანგო** არა, არა! ის სისინებს ..
გესმის, გესმის არ ყუჩდება;
ნაცვლად ტურფა სხეულისა,
მხოლოდ იგი ჰრეკვი ჩნდება.
აგერ ცივად ტანს მეხვევა
და სიკვდილით მემუქრება.
ნუ თუ შენ ხარ, დედოფალო?
აღსასრული ჩემი დგება? მწუხარედ
ო, დამიხსენ გევედრები!
**ძნეო** ჩუმად, ბავშვო, გელანდება!
**ჰანგო** უწინ თუ კი ტკბილი ხმანი
მოესმოდა ჩემს სულს ნანად,
უწინ თუ კი ნექტრის წყარო
სჩქეფდა წყლულის მოსაბანად,
უწინ—უწინ—მაგრამ ეხლა
ყველა მექმნა გამოცანად!
ჰეი, ვინ ხარ, რომ სურვილი
გადმიქციე დასანანად?
ბაგე ცივი. ყინვის ბაგე
სდუმს და პასუხს არ იძლევა;
ცრემლი მწარე, სისხლის ცრემლი
მისუსტებულ მკერდს მეფრქვევა.
შხამი სწვეთავს ამ ჩემ გულში
და სიცოცხლეც მიდის, ჰქრება!
შენ კვლავ შენ ხარ, დედოფალო?
**ძნეო** ხა, ხა! ჩუმად! გელანდება!
**ჰანგო** თითქოს ბურანში ლანდებს ჰხედა-
ვდეს ისმის ნელი მწუხარე მუსიკა
ეს ვინ სტირის შორეული?
ეს ვინ ჰგოდებს ასე მწარედ?
ასე გაბმით ვისი მოთქმა
გულსაკლავად ისმის გარედ?

ქარი ჰქრის თუ ტალღა შფოთავს?
ანუ ზეცა გმინავს ცხარედ?
შორს თუ სტირის ჩემი ერი,
იგრძნო ჩასვლა ჩემი მზისა?
შორს თუ მოსთქვამს დედაჩემი
დამლოცველი შარა გზისა?
სიზმარში თუ დავეზმანე:
ცოცხალს ველარ შემეყრება!
სთქვი, ვინ სტირის? სთქვი, ვინ ჰგოდებს?
სთქვი, რომ ესეც მელანდება!
აგერ, ვხედავ ჩვენს სასახლეს,
ჩვენი ერი მას აწყდება.
ყველა შავით შემოსილა,
ყველას იპყრობს მწუხარება!
მამაჩემი სახეს იხოკს.
თვალთ გადმოსდის მდუღარება.
ჩემს სახელსა იძახიან,
ჩემს დაღუპვას ვალალებენ;
იქ ასულნი მსხვერპლს სწირავენ
და ღმერთს ჩემს თავს ავედრებენ.
ეს ის ხმაა, მე რომ მესმის?
მართლა გლოვა ჩემს ერს ჰხდება?
სქვი, რად სდუმხარ, დედოფალო!
სთქვი, რომ ესეც მელანდება! ამოსკვნათ გატაცებული მწუხარე ნატვრით
ნეტამც ძმანი მოვიდოდნენ,
მოვიდოდნენ ნეტამც შველად;
ჩემი გმირო, ჩემი ბრძენო,
სად არიან? რომელ ველად?
რაო? ყურში ვინ ჩამძახის?
ვისი ხმა სჩანს საკვირველად?
მოვა, მოვა ძმა ჩემი!
მოვა იგი ჩემად მხსნელად! თითქოს ხმა ესმოდეს
აგერ, ისმის ხმლის ჟღარუნი,
ალბად გმირო ახლოვდება!
დედოფალო! ეხლაც მეტყვი,
რომ კვლავ ბედკრულს მელანდება?
ნეტამც ერთხელ კვლავ მოვავლო
ჩემს საყვარელს მამულს თვალი;
ჩანგზე სიმნი კვლავ ავაწყო,
და კვლავ ვექმნე მომღერალი!
ერსა ჩემსა ვუგალობო,
აღტაცებით ვუძღვნა ქება!
**ძნელო** ჩუმად, ყრმაო! შენი ნატვრა
ვერაოდეს ასრულდება!

რამდენიმე ხნის შემდეგ ძნელო მოჰკიდებს ხელს [illegible]ვით ბრმას, ისე მოიყვანს ოქროს კარებთან. ხელს გაუშვებს. ჰანგო იატაკზე დაეცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ვსთქვი, ასრულდა!
შენი დღენი, ყრმაო, დასრულდა!
**ჰანგო** ახ, რად მომკალ დედოფალო!
მე სიცოცხლე შენთან მსურდა!
თანდათან მისუსტებულის ხმით
ახ, სიცოცხლე ახლა დასტკბა,
ეხლა იქმნა სასურველი;
მაგრამ, ვაი, სიკვდილისა
მეფარება ძაძა ბნელი!
მოველ, ვნახე შენი სახე,
წარბ წამწამით შემოსილი;
ვნახე ბნელი ეგ თმა გრძელი,
ვნახე ბაგე გაფურჩქვნილი.
ვნახე ბნელი და კისერი
საამიკოდ მოღერილი.
თუმც ამ ხილვამ ჯერ ნორჩს მამცნო
გარდუვალი ბედის წერა,
მაინც ძნელო ხარ ძვირფასი,
ჩემთვის მნათობს შენი მზერა.
ტრფობა ცუდათ არ ჩაივლის,
დედოფალო ეს ღრმად მჯერა.
როს ამომხდეს გულის კვნესა,
ეს იქმნება სევდის ჟღერა.
სხვა მიჯნურმა მოისმინოს
ტრფობის ლოცვად ჩემი მღერა.
სთქვან რომელთ არ უნახვიხარ,
შენ ჰკაშკაშებ, ბნელი არ ხარ!
ამ დროს ჩემმა სულმაც გამცნოს:
კვლავ მიყვარხარ, კვლავ მიყვარხარ.
დედოფალი ამ დროს სარკმელთან იდგა და გარეთ იმზირებოდა. უკანასკნელ სიტყვას მოჰკრავს ყურს და ნახევრად გაბრაზებული ჰანგოს მიჰმართავს
**ძნელო** კვლავ გიყვარვარ, თუნდ გიყვარდე,
რაღას მარგებ ვნებულს ახლა?
აწ მწყურიან ტრფობა გულით.
შენ არ შეგწევს ამის ძალა!
ასე მალე როგორ მოსწყდი,
ღონე როგორ მოგეცალა! —
ახ, სხვა ნეტამც მოვიდოდეს,
დამიტკბობდეს გრძნობის ალებს,
თუნდ ის შენი ძმა რაინდი
ასე რისთვის იგვიანებს?
(შემდეგი იქნება)

# კომპ. პ. ი. ჩაიკოვსკი

(გაგრძელებაა იხ. „თ. და ც." № 2)

დანიშნულ დღეს, ვიდრე დაღამდებოდა, რაღაცა გამოურკვეველ მდგომარეობაში ვიყავ. ვითომ მიხაროდა კიდეც, ხან-კი ჩემ თავს ვემდუროდი: რა ჩემი ჭკუის საქმეა იმისთანა ბუმბერაზ ადამიანების გაცნობა—დაახლოვება მეთქი. ერთი სიტყვით, მთელი დღე ვერ მოვისვენე გაკვეთილებზედაც ვიყავ, მაგრამ ვაი იმ გაკვეთილების მიცემას. სადილ შემდეგ ძილიცა ვცადე, დასასვენებლად, მაგრამ მომაკვდავივით ვიბორგე და ძილი ვერ მოვახერხე.

საღამოს რვა საათზე, თითქო მოწამევე გამოცდაზე მიდიო, ერთი კიდევ გადავათვალიერე ჩემი ნაჯღაბნი ნაშრომი, ამოვიჩარე იღლიაში და გავსწიე სოლოლაკისაკენ. ჩაიკოვსკი იდგა სპარსეთის ელჩის მირზა რიზა ხანის სახლში. გუდოვიჩის ქუჩაზე. აი, მივედი შესავალ კართან და შევდექი. დავრეკო ზარი თუ არა? ერთ წუთს იმისთანა გუნებაზე მოველ, კინაღამ უკან გამოვბრუნდი, მაგრამ გამბედაობა მოვიკრიბე და აკანკალებულის ხელით ჩამოვრეკე ზარი. მეკარემ კარი გამიღო და მითხრა.

— ვინა გნებავთ?

— მე .. კომპოზ. პ. ი. ჩაიკოვსკი მინდა ვნახო.

— არ შეიძლება. ნაბრძანები მაქვს დღეს არავინ მივიღო გარდა ერთისა, რომელიც დაბარებულია.

— სწორედ მე ვარ დაბარებული. ვუპასუხე.

— არა, არ შემიძლიან. ამ საღამოთი ქართველი მუსიკოსი უნდა მოვიდეს ნოტებით და სხვას არავის იღებს.. რომელ საათისათვის ხართ დაბარებული? ბოლოს მკითხა.

— ცხრა საათზე დამიბარა გუშინწინ ა. ი. ჩაიკოვსკიმ.. აი ნოტებიც მოვიტანე —ვუპასუხე.

ამის შემდეგ მიიღო მოწყალება და შემიყვანა მისადებ დარბაზში.

არ გასულა ორი წუთი, გამობრძანდა მაესტრო, მომღიმარის სახით მომიალერსა და მომესალმა:

— თქვენი უმორჩილესი მონა ჩაიკოვსკი.

მისმა ამისთანა სითავმდაბლემ დავთრები ამირია და წავილუღლუღე:

— მეც თქვენი მონა მორჩილი და მადლობელი,..

ვლუღლუღებდი, თუმცა არ მესმოდა, რას ვბოდავდი.

როგორც ახალგაზდა შეყვარებულნი, როცა ერთმანეთს უცხადებენ გულის ნადებსა და ატაცებულნი არიან, ისე მე მომივიდა. მინდოდა დავმტკბარიყავ მისი ღვთიური სახის გამომეტყველებით, მაგრამ თვალებს ვერ ვაჭრევინებდი, ბინდი გადამეკრა თვალებზე.

— მომიტანეთ თქვენი ნაშრომი, ქართული ხალხური სიმღერები?

ამ კითხვამ გამომაფხიზლა და უსიტყვოდ გადავეცი ჩემი ხელნაწერი ნოტები. ჯერ დაბეჭდილი არა მქონდა მაშინ.

გამომართო, დიდის ცნობის-მოყვარეობით დაუწყო შინჯვა და მერე მითხრა:

— აბა, მობრძანდით როიალთან და დაუკარით, რაც დაგიწერიათ!

რისიც მეშინოდა, სწორედ ის არ ამცდა.

— არა, ბატონო! როცა თქვენ აქა ბრძანდებით, მე რა ნება მაქვს დავუკრა რამე?.. ვერა, მაესტრო არ, შემიძლიან! .

— ქართველები ისტორიულად მამაცი და გამბედავი არიან და რამ შეგაშინათ? ჩვენ ხომ ერთმანეთს ერ ვეჯიბრებით?.. თქვენ ნაშრომს თქვენ უფრო კარგად დაუკრავთ.

გამიყარა მკლავი მკლავში და მიმიყვანა, უფრო-კი მიმათრია, როიალთან.

ძალა-უნებურად დავჯექი, მაგრამ როიალის კლავიშებს რო დავხედე, ჩემ თვალებში თამაში გაჰქონდა: თეთრი ძვლები შავებში ირეოდა.

შევიხედე ზევით, ვნახე, რომ თავზე მადგა დიდებული ადამიანი; წამოვხტი ზეზე და მოვახსენე

— მე არ მემიძლიან ვიჯდე, როდესაც თქვენ თავს მადგეხართ...

ამის შემდეგ კომპოზიტორი გვერდით მომიჯდა და ჩემი ნოტები დამიდო წინ. როგორც იყო, დავმშვიდდი და ჩემი გახევებული თითებით რამდენიმე სიმღერა დავუკარ.

ცოტა ხნის შემდეგ ადგა და სთქვა: იქით დავ-

დგები და ერთი კიდევ თავიდან ბოლომდისინ ნელა დაუკარით. ის რომ მომშორდა და კედარა ვხედავდი, ცოტა მხნეობა მომეცა და ავასრულე მისი თხოვნა, მაგრამ ვაი იმ ასრულებას: სულ ოფლში დავიწურე. რო გავათავე, ავდექი და მიწიწებით ვთხოვე: თუ ღირს ვარ, ეს ჩემი ნაბდაჯნი თქვენ დაუკარით მეთქი.

მან თხოვნა ამისრულა და როცა რამდენიმე სიმღერა დაუკრა, შესწყვიტა უცებ, ცოტა დაფიქრდა და მერე მითხრა:

— როგორ შეიძლება ქვეყნიერების ზურგზე მოისპოს იმისთანა ხალხი, რომელსაც ამისთანა მარტივი, სადა, მაგრამ დიდი გრძნობის გამომთქმელი მრავალ-ხმოვანი სიმღერები აქვსო!.. ბრძანა, მერე ეჭვით მკითხა: ეს სიმღერები ნუთუ მართლა მდაბიო ხალხის გულიდან არის ამონადუღიო? ან შეიძლება ამ ბოლო დროის გავლენით ერთ ხმოვანი სამ ხმოვანად გადაკეთდაო?

— არა, მაესტრო, აქ სულ ძველის ძველი ხალხური სიმღერებია, რომლებიც ერთი თაობიდან მეორე თაობაში ზეპირ გარდაცემით გადადიოდა და აქნობამდე მათ ჯერ ნოტებზე დაწერა არა ღირსებიათ მეთქი. ამას გარდა ზოგი აქ დაწერილი სიმღერები კერპთ-თაყვანისმცემლობის დროიდან გადმოსულია ხალხში. მაგ. „ვაი, შენ ჩემო თეთრო ბატო“ „ოქროს დიელო“, „საწყალსა გლეხსა“ და სხ. მაშასადამე მეორე, მესამე საუკუნეს ეკუთვნიან და შეიძლება უფრო უგვიანეს დროისაც იყოს მეთქი.

(გაგრძელება იქნება)

ზ ჩხიკვაძე

## დაკარგული მღვდელი



ლავრენტი იაკობისძე ლორია

გამწესებული იყო გორის მაზ. სოფ ცედანის ეკლესიის მრევლის ღვდლად 17 იანვარს ბლაღოჩინის დავალებათ ცხენით წავიდა სოფ ხცისს (ხაშურის მხარეს) და მას შემდეგ სახლში აღარ დაბრუნებულა, ცხენი კი იმავე საღამოს დაბრუნდა. ერთხანად ხმა გავრცელდა, ვითომც წყალში დამხრჩვალიყოს, მაგრამ ეს ამბავი არა მართლდება უზომო მწუხარებაში მყოფი მღვდლის ცოლშვილი სთხოვს ყველას, თუ ვინმემ იცის რამე, აცნობონ (დ. სურამში ფოფოდია ედუკია ლორიას). საჭიროა სოფელმა და ნათესავებმაც მიაქციონ ყურადღება დაკარგული მღვდლის მონახვაში.

# გ-ნ მიხ. კავსაძის კონცერტი

(15 თებერვალს სახალხო სახლში)

აღნიშნული კონცერტი სავსებით შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ დღესასწაულად. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ძალიან დიდი იყო (24 ნომერი ოთხ განყოფილებად) და გვიანაც გათავდა, მაგრამ გაჭედილი აუდიტორია დიდის გულისყურით ისმენდა ბოლომდის კონცერტის ყველა ნომერს.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ეროვნულ კონცერტებს, ამაზედ აქ არას ვიტყვი; ამაზედ უკვე ვრცლად არის თქმული რამდენიმე წლის წინად ბ. ია კარგარეთელის მიერ ერთ-ერთ ქართულ გაზეთში, სადაც ავტორი მსჯელობდა სლავიანსკის ეროვნულ კონცერტებზე.

ჩემი ყურადღება, როგორც მუსიკის მეთვალყურის, მიიპყრო შემდეგმა სიმღერებმა: „ვერ გაიგონეთ ქართველნო“ მთიულების მხედრული სიმღერა, გადაღებული მ. ხოვლელის მიერ; „მოდის მტერი“, კახურ-მხედრული, გადაღებული სანდრო კავსაძის მიერ და მთელმა მეოთხე განყოფილებამ. აქ ადგილი ნებას არ მაძლევს კონცერტს სავსებით შევეხო ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩამოთვლილმა ორმ, სიმღერამ და მთელმა მეოთხე განყოფილებამ საზღაპრო შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. სცენა წარმოადგენდა ტრიალ მინდორს დიდის ტყით შემოფარგლულს. ღამეა... მეხრეებს შუაზე ცეცხლი გაუჩაღებიათ და გარს შემოხვევიან. გუნდი გლეხურად არის გამოწყობილი. მღერიან ღამის მეხრულს. ჯერ მეხრული არ გავუთავებიათ, რომ ამ დროს სადღაც შორიდამ ოდნავ მოისმის მეურმის ღუღუნი, რომელსაც საპალნე თბილისს მიაქვს და ურმულს მღერის. თ. ლ. ჯანდიერმა ამ სცენის ასრულებით მშვენიერი ილუზია შექმნა.

ამავე ფარგალში გუნდმა შეასრულა „ძლიერ სტიროდა“, კახური სიმღერა ნ. სულხანიშვილისა. შთაბეჭდილება პირდაპირ თავზარ დამცემი იყო. ფანდურზე ლექსების თქმამ (სოლო ივ უსტიაშვილისა), რომელშიაც გამოისატება მთელი ჩვენი სოფლის ცხოვრება და გლეხის ფსიხოლოგია, ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სამჯერ გაამეორებინეს კიდეც

„ზამთარიოას თქმის დროს ბ. ნ. კავსაძემ მოგვაგონა ხალხის ჭენიის ამონახეთქი, თვით ჭენიოსი სანდრო კავსაძე. ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი უნიჭიერესი ხალხურ ჭანგის მესაიდუმლე, რომელიც საუკუნოებით იბადება და არა ყოველ წელს და რომელსაც წარმოადგენს სანდრო კავსაძე, ჩამოშორებულია ამ საქმეს და თავის ძმისწულებს, ვით არწივი თავის ბღარტებს, გვერდით არ უდგა. .

დედააზრი მიხ. კავსაძის კონცერტებისა დიდია... ხალხის სიმღერების შეკრების და საზოგადოებაში გავრცელების სვე-ბედი ხელში უკავია კერძო პირს, მიშა კავსაძეს. შესაძლებელია, იგი პატარა კაცია, როგორც მომღერალი, როგორც ლოტბარი და როგორც მუსიკოსი, მაგრამ როგორც გულწრფელი მოსამსახურე დიდის საქმისა, გამავრცელებელი დიდი ეროვნულის იდეისა, აგრეთვე შემკრები ეროვნულ ჭანგების, იგი დიდად გვეჩვენება და ბუმბერაზად ხდება.

გუნდის ნაკლი შემდეგია. ხმებზედ არას ვიტყვი, რადგანაც ნაკლულობაზე მთელი დუნია ჩივის; მაგრამ რაც ძალა ჭყავს ბ. კავსაძეს, იმითაც შეიძლება შექმნას კაცმა უფრო მთლიანი და უფრო მწყობრი გუნდი მხოლოდ ამას დასჭირდება უფრო მეტი დრო და ენერგია. სიმღერის შესწავლა უფრო ადვილია, ვიდრე იმისი ხელოვნურად შესრულება. გუნდს აკლია ის ფერადობა, ურომლისოდაც იგი ვერ მოახდენს ჯეროვანს და მთლიან შთაბეჭდილებას, თვით მ. კავსაძე საშინელი მორცხვია. ეს მორცხვობა მის ფსიხიკას რაღაც ფლეგმატიურ ხასიათს აძლევს და ეს მისი ფსიხოლოგიის ხასიათი ეძლევა გუნდს. ლოტბარი უნდა არწივი იყოს, რომლის ხელიდამ და თვალიდამ ცეცხლანდამატი ჭფრქვევდეს, რომ ამ ძალით გუნდი, ვიდრე სცენაზეა, მთლად აღგზნებული იყოს. თორემ გუნდს რაღაცა მდარე ელფერი აქვს, არა აქვს ნაპერწკალი.

ბ. კავსაძემ სრულიად უნდა განდევნოს თავის რეპერტუარიდამ ევროპიული სიმღერები, რადგანაც იგინი არავითარ შთაბეჭდილებას არ სტოვებენ, პირიქით, კონცერტის მთლიანობას არღვევენ, შუაზედ აპობენ ამ შთაბეჭდილებას. ამ ევროპიული სიმღერების ჩარევით სურათი ჭკარგავს თავის სილამაზეს, მხატვრობას. აბა, ბ. კავსაძემ ქულაჯაზე, ან ჩოხაზე გა[illegible] გალსტუკი ან გახამებული საყელო! თუ ეს დაზათიანი იქნება, მაშინ ისიც მართალია, რომ ეროვნულ ჭანგებს შეურიოს უცხო სიმღერები. ამ მოსაზრებით აქ, რასაკვირველია, ადგილი არა აქვს პროგრამის სხვა და სხვაობის საბუთს.

კონცერტი თავის პროგრამით ძალიან საგულისხმო იყო და შთაბეჭდილებაც დიდი მოახდინა, ამიტომ სასურველია ბ. კავსაძემ გაიმეოროს იგი უფრო დიდს აუდიტორიაში, რომ მეტმა მაყურებელმა მოისმინოს, თუ რისი შექმნა შეუძლიან ხალხს.

**გ. საყვარელიძე**

# გადარჯულებული

**(ქართველთა ცხოვრების სინამდვილე)**

— „სნოვიმ გოდომ!“ „ევგენ პ--ვიჩ,“ მოგილოცავ „ნოვი გოდს!..“

ასე მიესალმა ევგენს ზუგდიდის ერთი მცხოვრებელთაგანი მოინტელიგენტე ახალგაზდა №--რი.

— „ჩტო ტაკოე“ ევგენ პ—ვიჩ, რო კითხულობ?

— გაზეთია

— „პროშუ“ ერთი მეც წამაკითხოთ ის გაზეთი, „ესლი მოჟნო?“

—კი ბატონო, მიირთვით, ჰა.

— „ჩტო ზა ჩორტ,“ ეს ოხერი „კარტული“ ყოფილა; მე რო „კარტული“ არ მინდა, არ იცი შენ?

—როგორ, ბტონო, ქართველი ბრძანდებით და ქართული გაზეთი არ გინდათ? ეს რას მივაწერო? აბა როგორი გინდათ, თუ არა ქართული?

**ძიკი გეგეჭკორი**

# ქართული სახიობა

**სახალხო სახლში** 14 თებ. ქართ. წარმ. მმარ. წრემ კ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოადგინა „დაქცეული ოჯახი“, კომედია გ. სუნდუკიანცისა. მსახიობნი მეგობრული შეთანხმებით სჭიმავდნენ კომედიის ძაფს და, ჭეშმარიტად, დაგვისურათხატეს დაკისრებული როლები. სუსტობდა სალომე (ელენე ციმაკურიძე). მსახიობქალი, თითქმის, რა როლშიაც უნდა თამაშობდეს, თან ატარებს ჯიუტი, დაჟინებული, პრანჭია, გრეხია ქალის სახეს ალბად მსახიობი ძლიერ ნებას მოკლებულია, რომ საკუთარი სახე გათქვიფოს ლეჩაქის პირბადე ჰბურავს და არა

განცდის, გარდაქმნისა. მეტად ვიწროა მსახიობში მრავალფეროვანი სახიერების ფარგალი. პიესის თაიგულად შეიკვრებოდნენ თავიანთ ცხოველმყოფელი თამაშით ბ-ნნი: გიჟმოზე (ნ. გოცირიძე) და ნატო (პიერეტა), უანგარო მიხო (ა. მეტრეველი), ფარსიდა (გ. გელიკურაშვილი)

არა უშავდა გაქუცულ მოხელეს ალექსანდრე მარმაროვის როლში დ. ბაქრაძეს, რომლის ცრუ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დრამატურგ'ს არ დაუზოგნია ოთხიოდე ბრჭყვიალა ფოლაქის უადგილოდ მიკერება. გულაბაანათ ოსეფას როლს გ გედევანოვი მხურვალე გრძნობით ასრულებდა, არტისტიულად, მაგრამ ავტორის შემოქმედებაშივე ხორცშეუსხმელ ყალბ ტიპ ვერ შთაბერა სული. ოსეფა დრამატურგის ოცნების უნიადაგო პირმშო შვილია, სულჩაუდგმელი იდეაა: ოსეფას პირით ქადაგება, ავტორის გულის წიაღში ნატარებ, სასურველ ზნეობრივობის მოძღვრებისა, საეჭვოა. **მე**

— —

**ი. ზარდალ.,შვილისა და ა. შოთაძის გასტროლები** დ. ხაშურში დაიწყო ხაშურის ქართ. დრამ წრის გამგეობის თაოსნობით 14 თებერვალს. პირველ საგასტროლო წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. უადგილობის გამო ძრიელ ბვრი გაბრუნდა უკან. ითამაშეს ს ჭანტურიშვილის 3 მოქ. დრამა „მორევში“ და **1** მოქ კომედია „საუბედურო დებიუტი“. მონაწილეობდენ: ქ.ქ ა შოთაძე, ნ. ყაჭეიშვილისა; ბ.ბ. ი. ზარდალიშვილი, ა. კორძაია, მ. კვალიაშვილი, ვ. ხოზბერაშვილი, და დ. ძნელაძე. პიესის უმთავრეს გმირის როლს, კოტე გრეხილაძეს ასრულებდა თვით ი. ზარდალიშვილი, რომელმაც ჩვეულებრივის ნიჭით განასახიერა სცენაზე კოტეს როლი და დამსწრე მაყურებლებში გაუთავებელი ოვაცია გამოიწვია. კოტეს ცოლის მაროს როლს ასრულებდა ა. შოთაძე. ამ მსახიობ ქალმაც უნაკლულოდ ჩაატარა ნაკისრი როლი და სინამდვილით დაასურათა სოფლის მასწავლებლის იდეალებით და სიყვარულით შეპყრობილი მარო, რომელსაც ოჯახურმა დრამამ დაუყენა კითხვა: „ან სიყვარული, ანუ ოჯახური მოვალეობა“. კარგები იყვნენ: ვასოს როლში დ. ძნელაძე, ტრიფონ მანაგაძის--ვ. ხოზბერაშვილი, შინა-მოსამსახურის ბეგლარის—ა. კორძაია და მამის —მ. კვალიაშვილი კომედიამ მეტად ცოცხლად ჩაიარა და საზოგადოებაში დაუსრულებელი სიცილი გამოიწვია. შემდეგი წარმოდგენა ნიკო გოცირიძის მონაწილეობით დანიშნულია სადღესოდ, 22 თებერვალს. ითამაშებენ „კრეჩინსკის ქორწინებას“. მზადდება „პატარა კახი“ აკაკისა. **ნიკო გურული**

— —

**ბაქოს ქართულ დრამატიულმა წრემ** 25 იანვარს დასდგა ნ ნაკაშიძის სოციალური დრამა „ვინ არის დამნაშავე?“. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი რეჟისორი შალვა დადიანი ამ პიესის ბაქოს სცენაზე დადგმისათვის, პიესის შინაარსი აღებულია გურულების ცხოვრებიდან და კილოც გურული უნდა იქნას დაცული, ეს გარემოება კი ხელს უშლის დრამის უნაკლოდ ჩატარებას, ვინაიდან კილოს ისე სასტიკათ დაცვა, როგორც იცავს თვით დრამის ავტორი მსახიობთათვის და მით უმეტეს სცენის მოყვარეთათვის საძნელო ხდება. ერთ უმთავრეს როლთაგანს ასრულებდა ქ-ნი მ. ნაკაშიძე (სალიხე). მიუხედავათ იმისა, რომ გურულ კილოს ზედმიწევნით კარგად იცავდა, ზოგჯერ თუმც შესაფერი მიმიკაც ახლდა, მაგრამ აკლდა სალიხეს ვაჟკაცური ქცევა, სიკაპასე, ლაზათიანობა ფატის როლს ქ-ნი ელ. ანდრონიკაშვილი ასრულებდა, თამაშობდა დაკვირვებიათ, კარგათ, ხოლო ზოგჯერ მას კილო და ხმის უქონლობა ღალატობდა. ჩინებული სიკო იყო შ. დადიანი და—არსენა შ. ხონელი. ტიპიურები იყვნენ ს. ქარქაშიძე (ყარამან) და ახობაძე (მოხუცი). აღსანიშნავია ქ-ნი ჭრელაშვილი (სოფო). საერთოთ პიესამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა, მეტადრე პირველმა ოთხმა მოქმედებამ, ხოლო უკანასკნელი ცოტა გამკრთალდა. დანარჩენი მოთამაშენი ანსამბლს ხელს უწყობდენ. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო.

დასასრულ:—წარმოდგენის დაწყებისა და მოქმედების მსვლელობის დროს ყოვლად შეუძლებელია წამ და უწუმ გაღება იმ კარებისა, საიდგანაც პარტერიდან კულისებში მოქმედ პირებს ვხედავთ.

დიდი საყვედურის ღირსია თეატრის ადმინისტრაცია, რომელიც წარმოდგენის მსვლელობის დროს დარბაზში წესიერების დაცვას ყურადღებას არ აქცევს. ამას გარდა, ვიღაც ნაძირალებმა თითქმის ეს მეექვსეჯერ ჯიბიდან ფული ამოაცალეს დამსწრეთაგანს. (ამ საღამოს ერთ პირს 525 მანეთი ამოართვესე). საჭიროა თეატრის ადმინისტრაციამ ამ გარემოებას დროზე მიაქციოს ყურადღება. **გულისაგა**

# წვრილი ამბები

**მგოსანს ალ შანშიაშვილს** ნება მიეცა გამოსცეს გაზეთი „საქართველო“.

**ქართველ მსახიობთა ამხანაგობა** საგაზაფხულო სეზონს ამ მოკლე ხანში დაიწყებს, რეჟისორად მოწვეულია მ ქორელი.

**ქალაქის გამგეობამ** ქართველ მსახიობთა ამხანაგობას სახალხო სახლში თვეში ოთხი ღამე დაუთმო, ღამე—თითო თუმნად.

**მსახიობი ალ ყალაბეგიშვილი** საგაზაფხულო სეზონისთვის ქუთაისს მიიწვიეს.

**გაზაფხულის სეზონი** ქუთაისში დაიწყო 15 თებერ. წარმოდგენილ იქმნა „მედეა“ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით.

**ჟურ „თეატრი და ცხოვრება** მთელის წლით თავის ხარჯით გაუწერეს: 1) ვასილ ნ. კირვალიძემ—ონის (რაჭაში) სამკითხველოს, 2) ისაკ გი-

ოგისძე ალხანაშვილმა—ნუკრიანის პირველ დაწყებითი სკოლას, 3) ირაკლი დოლიძემ—ამაღლებაში აკაკი წერეთელის სახელობის ბიბლიოთეკას.

**აკაკის ანდერძისამებრ** ზეპირ-სიტყვაობის ფონდის გასაძლიერებლად კომერსანტმა ალექსანდრე სიმონისძე ლორთქიფანიძემ ქართველ ვაჭართა შორის დღემდე შეჰკრიბა 396 მ. კიდევ ჰკრებს და ამ მოკლე ხანში დანიშნულებისამებრ გადასცემს.

**საგურთალოს თეატრი** აკურთხეს 15 თებერ. ნაშუადღევის 1 ს. დაესწრნენ სახალხო თეატრთა და პრესის წარმომადგენელნი და ბლომა ხალხი. მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს გამგეობის თავმჯდომარემ ლ. ი. ბაქრაძემ, ჩვენი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების" მხრით—იოსებ იმედაშვილმა, ნაძალადევის სცენის მოყვარეთა—ს. სვიმონიძემ, ავლაბრის სცენის მოყვარეთა—თ. ნასიძემ, ხარფუხის—გ. შათირიშვილმა. სალამოთი წარმოადგინეს „ძუნწი" და „დატრალდა ჯარა". წარმოდგენის დაწყებამდე ილ. ნაკაშიძემ წაიკითხა რეფერტი—„ხელოვნების მნიშვნელება!" მიულოცეს მუსულმანთა წარმომადგენლებმა. დაესწრო დიდძალი ხალხი. თეატრი მოთავსებულია მ. ქორქაძის სახლში. იტევს 120 კაცს.

### რ უ ს თ ა შ ო რ ი ს

**კინემატოგრაფებს** ომიანობამ უფრო შეუწყო ხელი. შემოსავალს ემადრიელებიან.

**თეატრს ომიანობამ** მაინც და მაინც ხელი ვერ შეუშალა, თითქმის ყველგან უზარალოდ დაასრულეს სეზონი და ბევრ ადგილას მოგებაც ნახეს.

**დაიწვა** ნარვის საზოგადო. საკრებულოს თეატრი, რომელიც უმთავრესად მუშა ხალხს ემსახურებოდა

**ვ. ნ. ალექსი-მესხიშვილის** ასული მოსკოვის რუსულ დრამაში მიიწვიეს.

**წვრიმალი, რომლის ცოდნაც არავის აწყენს.**

**პირველი საკერავი მანქანა** მოიგონა ტომას სენმა 1790 წ ფეხსაცმელების საკერავად.

**სხვილი მაღალი მუხა** ხუთი თვის განმავლობაში, სანამ მწვანე ფოთოლი ასხია, დედამიწიდან იწოწნის 100,000—დან 120,000—დე კილოგრამ წყალს.

**ცხოველთა შორის** სპილო ყველაზე ნაკლებს იძინებს. უმძიმეს შრომის შემდეგ იშვიათად რომ ოთხ საათზე მეტს დაიძინოს

**მზე სივრცით დედამიწაზე** დიდია 1,280,000—ჯერ, ხოლო მძიმე—324 000—ჯერ.

**ერთი ჰანგი** აქვს ინგლისურ, პრუსიულ, შვეიცარულსა და ისლანდიურ ხალხურ ჰიმნებს.

**მიწისმეტყველთა გამოანგარიშებით** ევროპის რუსეთში ურალ—კავკასითურ ქვანახშირი 60,106 მილიონ ტონს უდრის აზიის რუსეთისა კი—173,878 მილ. ტონს, ხოლო რადგან აზიის რუსეთი გეოლოგიურად ჯერ კიდევ კარგად არაა შესწავლილი, ნახშირი უფრო მეტი ეგულებათ.

**აკაკის სალამო ხაშურში** ხაშურის დრამ. წრის მიერ გაიმართება ხუთშაბათს, 26 თებ.

**გრიშაშვილის საღამოს** დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

**ქართ. თეატრის ასაგებ ფონდისთვის** ხაშურის დრამ. წრის გამ—ის წევრ—ხაზინადარმა ბ ნ ი. ყაჭეიშვილმა გადასცა 300 მ. 40. კ.

**თეატრის საალმშენებლო კომიტეტს** ხაზინადარს დღემდე მიუღია 6550 მან.

**შეცდომის გასწორება:** **სილოვანის** წერილში (აკაკის ხსოვნას, № 7) დაბეჭდილია: **დაახლოვებით** ფიზიკური **უბედურება, ათბობს, გათბობას, გაფხიზლებაში, განვსხვადებოდე,** არ **ვარდები** (მე); უნდა იყოს: **დაახლოებით,** ფიზიკური **უძლურება, ათფობს, გათფობასა, გამოფხიზლებაში, განვსხვავდებოდე,** არ **ვვარდები.**

# სამძიმრის წერილი

ჟურნალის გვერდები უკვე შეკრული გვქონდა, რომ შემდეგი სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ.

## თავ. ნიკოლოზ რევაზისძე ერისთავი

ულმობელმა სიკვდილმა კიდევ ერთი გულწრფელი, მტკიცე და პატიოსანი მამულიშვილი გაგვტაცა. 18 თებერვალს თბილისში მოულოდნელად გარდაიცვალა ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი თავადი ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავია.

მართალია, იგი კალმოსანი არ იყო, არცა მსახიობი ანუ ქველმოქმედი, მაგრამ იგი იყო ქართველ საზოგადოების გაჭირვების ტალკვესი, მწერლობის, თეატრისა და ჩვენი საზოგადოებრივ წინსვლის დიდი მეგობარი: მაღალი წრის შვილი, კაი შეძლების პატრონი, შუა ხნის კაცი დიდის ხალისით, თითქმის ჭაბუკურის გატაცებით ელოლიავებოდა ყოველ ქართულ საქმეს, რაც კი ჩვენს ეროვნულკულტურულ წინსვლას შეუწყობდა ხელს და გულის ფანცქალით მოელოდა ჩვენის მრავალტანჯულ სამშობლოს ახალი ცხოვრების განთიადს. განსაკუთრებით მძიმეა მისი სიკვდილი ჩვენის ქვეყნისათვის დღევანდელ პირობებში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატივცემულო ქართველო! **ი—ელი**

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

წელიწადი მესამე

**მიიღება ხელმოწერა 1915 წ.** ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**იუმორისტულ განყოფილებით და შარჟებით**

წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან.

**„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშე**

ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. **ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა**

**ფ ა ს ი:** წლით **5** მან., ნახევარი წლით **3** მან., თითო ნომერი **10** კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს **2** მ., მარტის გასვლამდე **2** მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ხელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა **„განთიად“**-ში, **„ცოდნის“** წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში - ალ. **ძაძამიასთან, ქუთაისში** თ. მთავრიშვილის წიგნთ საღაზროში ს. ეპიტაშვილთან

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 გვ. ორიგებით, 2, გვ. კორპუსის პწკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4 ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ **Iосифу Имедашвили**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი**

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარწლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი 5 კ- დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის მისამართით: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“** თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე. ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათა და საზოგადო მოღვაწე გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე**

---

**ვკისრულობ** ორიგინალურ და თარგმნილი ხელნაწერების გასწორება-გადაწერას, კორექტურასა და გამოცემის საქმეს. **მისამართი:** პერიოდულ გამოცემათა ცენტრალური კანტორა „განთიადი,“ თბილისი, მიხეილის პროსპექტი **№ 18.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.
ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

# „სახალხო ფურცელი"

(კვირაობით) სურათებიანი დამატებით (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ. ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. ← ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარედ, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით: ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცლის" კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели", почт. ящ. № 190.

„თეატრი და ცხოვრების" კანტორაში ისყიდება გ. თუმანიშვილის წიგნი

**Характеристики и воспоминанія**

(ქართული თეატრი—ქართველი და სომეხი მსახიობი და სხვა მოღვაწენი.—რუსის მსახიობნი ჩვენში და სხვ.)

სამი ნაწილი, ფ. თითო ნაწილი — 50 კაპ.

მთელი შემოსავალი დანიშნულია ქართული თეატრის ახალგაზრდობის გასაჩუქრებლად. (5—5)

ჟურნალი

## „თეატრი და ცხოვრება"

გასასყიდათ თბილისსა და პროვინციაში გარდაეცა ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ კანტორა

## „განთიადი"-ს

გიორგი მაქ მახარაძეს

მიხეილის პროსპექტი, № 18. ფოსტის ყუთი № 21.

ყველა გამყიდველთ თბილისისა და პროვინციისა მას უნდა მიმართონ.

სოსიკო მერკვილაძის წიგნის მაღაზიაში

## აკაკის შემდეგი

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| I ტომი . . . . . . . . . . | 1 | „ |
| II ტომი . . . . . . . . . . | 1 | „ |
| ბაში აჩუკი . . . . . . . . | „ | 30 |
| ნათელა . . . . . . . . . . | „ | 20 |
| კიკოლას ნაამბობი . . . . . | „ | 20 |
| ბაგრატ დიდი . . . . . . . | „ | 10 |
| ორი ქართველი . . . . . . | „ | 10 |
| ალექსი . . . . . . . . . . | „ | 10 |
| გამზრდელი . . . . . . . . | „ | 10 |
| რჩეული ლექსები . . . . . | „ | 10 |
| სიმღერა აკაკისა . . . . . | „ | 15 |

„ცოდნა"—ში ისყიდება

## ნაწერები

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი | „ | 5 |
| თამარ მეფე . . . . . . . . | „ | 5 |
| იგივე რუსულად . . . . . . | „ | 5 |
| ვაჭრული ჭკუა . . . . . . | „ | 5 |
| მამის ყივილზე . . . . . . | „ | 10 |
| ოცნება . . . . . . . . . . | „ | 10 |
| ჩემი ნაწერები . . . . . . | „ | 75 |
| ორი პუბლიცისტური სტატია | „ | 10 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | „ | 35 |

**აკაკის სურათები:** დიდი სურათი 50 კაპ., მორჩილი 30 და ბარათი 5 კ.

ნარდათ მყიდველს ფასდაკლებით დაეთმობა **მისამართი:** თბილისის წიგნის მაღაზია „ცოდნა" სოსიკო მერკვილაძე (3—2)

Типографія „Сорапань"      სტამბა „სორაპანი"